ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 85

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წლის შვიდ თვეში
გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

(საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის ანგარიში 2022 წლის შვიდ თვეში გაწეული
მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ... ... შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

180
28 07 22

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის
№ 85 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2022 წლის შვიდ თვეში
გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრი თვითმმართველობის კოდექსი", ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომისია შედგება თოთხმეტი წევრისაგან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია აქტიურად ჩაერთო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირებასა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვაში. 2022 წლის ბიუჯეტის პარამეტრების ფორმირებისას კომისიამ ყველა სამუშაო შეხვედრაში, ყველა სამსახურთან მიიღო მონაწილეობა პარამეტრების შეთანხმების პროცესში.

ბოლო შვიდი თვის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას ჩატარებული აქვს კომისიის ათი სხდომა, განხილულია სულ 14 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა დასკვნები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ინტენსიური მუშაობა გასწია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

იმსჯელა და განიხილა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა 33 პროგრამა, რომლებიც ითვალისწინებს ჩვენი მოქალაქეების ყოფითი და ყოველდრიური პრობლემების შემსუბუქებას:

პროგრამებს მიმდინარე წელს დაემატა:

1. **ახალი კორონა ვირუსით („covid-19") ინფიცირებული პირების დახმარების პროგრამა** (პროგრამის კოდი 06 02 32), რომლითაც განსაზღვრულია ახალი კორონავირუსით („Covid 19") ინფიცირებული პირების სამედიცინო დახმარება. პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 სარეიტინგო ქულის მქონე, კორონავირუსგადატანილი ბენეფიციარები. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ახალი კორონავირუსის გადატანის შემდგომ, მე–14 დღიდან ლაბორატორიული კვლევების (კოაგულოგრამა, D–დიმერი, C–რეაქტიული ცილა) დაფინანსებას 80 ლარის ფარგლებში. დახმარება გაიცემა ერთჯერადად, სამედიცინო მომსახურების მიღებამდე. ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ოჯახის ექიმის მიერ გაცემული ფორმა №100 და ანგარიშ-ფაქტურა სამედიცინო დაწესებულიდან.

2. **ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამა** (პროგრამული კოდი 06 02 33), რომლის მიზანია „ბავშვთა კოდექსის" მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა, რათა ეფექტურად მოხდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე. ბავშვთა

სიღარიბე და ბავშვთა მიმართ ძალადობა კვლავაც რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოს ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემისათვის, მიუხედავად ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯებისა. პროგრამით მოსარგებლეები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფიდან, სულ მცირე, ორს მაინც აკმაყოფილებს: სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 120001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; გაღარიბების მაღალი რისკის წინაშე კრიზისულ მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე; ერთ-ერთი მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს მშობლის ფუნქციებს; ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ სუსტი თანადგომის ქსელი სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე; ბავშვიანი ოჯახები, სადაც ერთი მშობელი კანონთან კონფლიქტშია.

პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ „მრავალშვიანი ოჯახების მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი" პროექტების მოსარგებლენი.

პროგრამის განხორციელება მიმართულია ბავშვიანი ოჯახებისათვის გრძელვადიან მხარდაჭერაზე, რომელიც მოიცავს სამ კომპონენტს. კერძოდ, პროგრამის მონაწილე ოჯახებთან ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომებით მოხდება სოციალური მუშაკების ჩართულობა, ოჯახის ეკონომიკური და პოზიტიური მშობლობის კუთხით გაძლიერება. ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, ფინანსურ რესურსზე/შემოსავალზე ხელმისაწვდომობა ეხმარება მშობლებს/მზრუნველებს ინვესტირება განახორციელონ მათი შვილების ღირსების დაცვის, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვაში. პროგრამაში მონაწილე თითოეული ოჯახის მხარდაჭერა განხორციელდება მომსახურების ან/და საქონლის/პროდუქტის შესყიდვის სახით შემდეგი მიზნებისთვის: პროფესიული გადამზადება/სტაჟირება დასაქმებისთვის, შემოსავლების მომტანი საქმიანობის წამოწყება (მათ შორის, თვითდასაქმების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის ან სხვა სფეროში), ინვენტარის შეძენა თვითდასაქმება/დასაქმებისთვის. პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში, თითოეულ შემთხვევაზე, ოჯახების მხარდაჭერა განისაზღვრება არაუმეტეს 5000 ლარის ოდენობით. პროგრამის მონაწილე ოჯახებში ბავშვის აღზრდის საკითხებზე ცოდნისა და პოზიტიური მშობლობის უნარების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება აქტივობები, რათა ამ გზით შემცირდეს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობისა და ძალადობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე, კერძოდ, ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს მათსა და ბავშვს შორის ეფექტურ კომუნიკაციას; მშობელსა და ბავშვებს შორის თანამშრომლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას; მშობლის ხელშეწყობით ბავშვებსა და მოზარდებში სოციალური კომპეტენციის განვითარებასა და პრობლემური ქცევის შემცირებას; ასაკობრივი თავისებურებებისა და სირთულეების გაცნობას; მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის მიერ პრობლემური სიტუაციის სწორად გაანალიზებას; მშობლის სოციალური უნარებისა და ოჯახის დაგეგმარების სწავლას. პროგრამაში მონაწილე მშობლების/მზრუნველებისათვის ბავშვის აღზრდის საკითხებზე ცოდნასა და პოზიტიური მშობლობის უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მუშაობა უნდა ჩატარდეს ჯგუფური ფორმატით, ინტერაქციული სწავლების მეთოდებისა და კონკრეტული უნარ-ჩვევების განმავითარებელი სავარჯიშოების გამოყენებით, წინასწარ წარმოდგენილი ტრენინგ–მოდულით, რომელიც ორგანიზაციის მიერ არის ადაპტირებული და ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას. ერთი სატრენინგო ჯგუფი უნდა მოიცავდეს არანაკლებ 10 სესიას, რომელიც ჩატარდება კვირაში ორჯერ. მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრება პროგრამაში შერჩეული ოჯახების სრულწლოვანი წევრების რაოდენობის მიხედვით, მაქსიმუმ 20. აღნიშნულ კომპონენტში ჯგუფურ მუშაობას ჩაატარებს ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკი, რომელთაც უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და მსგავსი ტიპის პროგრამაში მონაწილეობის არანაკლებ, 2 წლის გამოცდილება. პროგრამის ფარგლებში შერჩეულ

მომსახურების მიმღებ სავარაუდო წევრს უნდა ჰქონდეს სურვილი/მოტივაცია და საჭიროება. პროგრამაში ჩართვის წინ, მომსახურების მიმღებ პოტენციურ მონაწილესთან უნდა მოხდეს ფორმალური შეთანხმება, რომ აუცილებლად დაესწროს ყველა სესიას, რადგან პროცესი არის დინამიური, თანმიმდევრული, უწყვეტი (ამასთან, წინა სესიების თეორიული მასალის განმტკიცება ხდება მომდევნო სესიაზე პრაქტიკული სავარჯიშოებით). სასურველია, ჯგუფში ჩართული იყოს ერთდროულად ორივე მშობელი ან საჭიროებისამებრ ოჯახის სხვა წევრი (და, ბებია, და ა.შ.), მაგრამ აუცილებლად ბავშვის აღზრდის უშუალო მონაწილე, უფლებამოსილი პირი. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ვალდებულებას იღებს ურთიერთთანამშრომლობაზე. პროგრამის ფარგლებში, მარტივი ადმინისტრაციული წესით, საქმისწარმოების დაწყების საფუძველია მოქალაქის განცხადება.

3. **ბავშვის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა** (პროგრამული კოდი 06 02 34), რომლის მიზანია „ბავშვთა კოდექსის“ მოთხოვნათა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ მოწყვლად ოჯახებში მცხოვრები ბავშვების კოგნიტური და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ოჯახები ვერ ახერხებენ ბავშვებისათვის განვითარების საშუალებების შეძენას, რაც ხშირ შემთხვევაში ბავშვის განვითარების შეფერხების მაპროვოცირებელია ფიზიკური დამოუკიდებლობის, მეტყველების, შემეცნების, სოციალურ-ემოციური და წარმოსახვის უნარის განვითარებაში. ბავშვობის ასაკი კრიტიკულად მნიშვნელოვანი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. ადრეულ (0-დან 6 წელი) ასაკში ქცევის, სწავლისა და განვითარების ძირითადი ფორმა თამაშია. თამაში ბავშვისათვის სამყაროს შემეცნების, თვითგამოხატვისა და ურთიერთობის საშუალებაა. ეს პროცესი მისთვის ბუნებრიობის, უსაფრთხოების, კმაყოფილებისა და სიამოვნების შეგრძნების წყაროა, ხოლო შუა ბავშვობის (7-დან 14 წელი) ასაკში ბავშვი ინტენსიურად ითვისებს სასკოლო უნარებს, გრამატიკულად სწორად მეტყველებას, წერას, მწიფდება თეორიული აზროვნება და იხვეწება ცნობიერება, რაც თავისი არსით სოციოკულტურულ კონტექსტთან არის დაკავშირებული. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვები. სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკების მიერ. პროგრამის ფარგლებში ოჯახის მხარდაჭერა განხორციელდება ბავშვის ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით – ადრეული ასაკის ბავშვებისათვის (0-დან 6 წელი) და შუა ასაკის ბავშვებისათვის (7-დან 14 წელი) ბავშვის განვითარების ხელშემწყობი საშუალებებით.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების ყოველწლიურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წელს კომისიამ რამდენჯერმე მოისმინა ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ მოისმინა ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლისა“ და ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელების ანგარიშები.

კომისიის წევრებმა ერთხმად გასცეს რეკომენდაცია მადლიერების სახლის შენობის რეაბილიტაციის, მენიუს გაუმჯობესების, ბენეფიციარებისათვის სამრეცხაო და პირადი მოხმარების საშხაპე ოთახების მოწყობის შესახებ. ასევე, ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ საჭირო მედიკამენტების დროულად მიწოდებისა და სამივლინებო ხარჯების (კვება, სასტუმრო) გაზრდის თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-9 სხდომაზე, მ/წლის 27 ივლისს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მამუკა რიჟამაძის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო